ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძე"

2011-01-05
2012-01-05

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 13

ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძე". ცაბაძის №8. გორი. საქართველო, რომელსაც წარმოადგენს მაკა ოქროპირიძე და

<სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრის საჯარო სკოლა>

## ხელშეკრულების საგანი

< სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრის საჯარო სკოლა> და ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძე" შეთანხმდნენ შემდეგზე

**მუხლი 1.**

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრის საჯარო სკოლასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს მიიღოს კომპიუტერული მომსახურეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

### ხელშეკრულების პირობები

**მუხლი 2.**

**2.1.**მხარეთა შორის ხელშეკრუელბა გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით და კომპიუტერული მომსახურეობის მიმღები უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და ბეჭდით.

**2.2.**ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

**2.3.**თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი ინფორმაცია.

**2.4.**ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### მხარეთა ვალდებულებები:

**მუხლი 3.**

**3.1 ინდ მეწარმე „მაკა ოქროპირიძე"**

**3.2.**შექმნას კომპიუტერული მომსახურეობის სათანადო პირობები თანამედროვე დონეზე და მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

**3.3.** იზრუნოს კომპიუტერული მომსახურეობისა, არსებული ხარვეზის გამოსწორებაზე.

**3.4** განახორციელოს ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

**3.5.**ინდ. მეწარმე მაკა ვალდებულია კოორდინატების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეს.

**3.2. სკოლა ვალდებულია**

**3.2.1.**დაიცვას ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძ"-ის შინაგანაწესი.

**3.2.2.**ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში წერილობითი განცხადებით მიმართოს ინდ მეწარმე „მაკა ოქროპირიძე"-ს.

**3.3.3.**გადაიხადოს კომპიუტერული მომსახურეობით გათვალისწინებული საფასური შესაბამისი ოდენობით დადგენილ ვადაში.

### მხარეთა უფლებები

**მუხლი4**

**4.1. ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძე"-ს უფლება აქვს**

**4.1.1.**ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძე"-ს უფლება აქვს მოითხოვოს კომპიუტერული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება შესაბამის დროსა და ადგილზე გადარიცხვით ან ნაღდი ანგარისწორების სისტემით.
**4.1.2.**ინდ. მეწარმე „მაკა ოქროპირიძე"-ს უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისას მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

**4.2.სკოლას უფლება აქვს**
**4.2.1.**მიიღოს სრულყოფილი და ჯეროვანი მომსახურება, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.
**4.2.2.**გაწეული კომპიუტერული მომსახურებისას, ხარვეზის დაშვების შემთხვევაში, მოითხოვოს მათი გამოსწორება.

**მხარეთა პასუხისმგებლობა**

**მუხლი. 5.**
**5.1** მხარეების მიერ ნაკისრი ხელშეკრულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
**5.2.**ხალშეკრილებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისას ან შესრულების ვადის დარღვევისას, დამრღვევ მხარეს დაეკისრება ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ძირითადი ვალის დაფარვა.
**5.3**ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან. სსკ–411–ე მუხლის თანახმად ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო.
**5.4**ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
5.4.მხარე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი შემთხვევითობისათვის. ასევე პასუხს აგებს გაუფრთხილებლობისათვის, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

**ხელშეკრულების შეწყვეტა**

**მუხლი. 6.**
**61.** ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
**6.2.**ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ერთი თვით ადრე მაინც.
**6.3.**ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
**6.4.**ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დამრღვევის გამო არ ათვისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

**დამატებითი შეთანხმებები**

**მუხლი 7**
7.1. თუ ხელშეკრულების შესრულებისას საჭირო ხდება რაიმე დამატებითი პირობებზე შეთანხმება, მხარეებს შეუძლიათ მოახდინონ ნებისმიერი სახის დამატებითი შეთანხმება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მხარეთა ორმხრივ ინტერესს.
**7.2.** აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილებები და დამატებები, ისევე როგორც სხვა სახის შეთანხმებები, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების ვალდებულებებზე შედგენილ უნდა იქნეს წერილობით.

### ანგარიშსწორება

**მუხლი 8**

**8.1.** სკოლა ვალდებულია, გადაიხადოს კომპიუტერული მომსახურებისთვის გაწეული, შესაბამისი თანხა. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში სკოლას შეუწყდება კომპიუტერული მომსახურეობა.

8.2. თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

### შესრულების ადგილი

**მუხლი .9.**

**9.1.**შესრულებისა და იურისდიქციის ორივე მხარისათვის არის გორი, საქართველო.

### დავების გადაწყვეტის წესი

**მუხლი. 10.**

**10.1.** მხარეთა შორი წარმოშობილ დავას განიხილავს და წყვეტს სასამართლო.

### დასკვნითი დებულებანი

**მუხლი. 11.**

11.1.აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.

11.2.ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხაეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართი მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

11.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი ერთმანეთის იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს გადაეცა თითო ეგზემპლარი.

### ხელშეკრულების ხანგრძლივობა

**მუხლი. 12**

ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 01 მაისიდან 2012 წლის 1 მაისამდე/

**თარიღი** 1 მაი

**ხელმოწერა:**

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**დირექტორი:** **სკოლა:**

| | |
|---|---|
| ინდ. მეწარმე მაკა ოქროპირიძე | სკოლა<br>სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრის სკოლის დირექტორი:<br>ასმათ კურტანიძე |
| მისამართი: ცაბაძის №8 გორი. საქართველო.<br><br>**ტელ: 898 35 90 39. 898 54 77 52** | მისამართი: გორის რ-ნი სოფ. შკრა<br><br>ტელ: 577 922540 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 59002001223<br>ანგარიშის ნომერი: 360201011200007<br>პროკრედიტ ბანკის გორის ფილიალი.<br>MIBGGE22 | სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი: №218049092<br>ანგარიშის ნომერი: **GE63LB0121151202437000**<br>ლიბერთი ბანკი<br>LBRTGE22 |